

86  
968

საქართველოს  
ბიბლიოთეკა



# საქართველოს სსრ მთავრობის დებუნიდაბათა კრებული

№ 2

მარტი — აპრილი

1968 წ.



# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი-აპრილი

1968 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებები

- 21. 1967 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მი-  
ყიდვის დარგში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის გარდამავალი წითელი დრო-  
შების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა  
რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

- 22. საქართველოს სსრ საწარმოებისა და ორგანიზაციების სპეციალური ტანსაცმლით,  
სპეციალური ფენსაცმლით და საცავი მოწყობილობით უზრუნველყოფის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

- 23. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის წესდების შესახებ.
- 24. მცხეთის არქეოლოგიური და არქიტექტურული ნაკრძალის ტერიტორიის განაშენიანები-  
საგან განთავისუფლების შესახებ.
- 25. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო  
კომიტეტის დებულების“ დამატების შესახებ.





# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი-აპრილი

1968 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებები

- 21. 1967 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მი-  
ყიდვის დარგში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის გარდამავალი წითელი დრო-  
შების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა  
რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

- 22. საქართველოს სსრ საწარმოებისა და ორგანიზაციების სპეციალური ტანსაცმლით,  
სპეციალური ფეხსაცმლით და საცავი მოწყობილობით უზრუნველყოფის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

- 23. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის წესდების შესახებ.
- 24. მცხეთის არქეოლოგიური და არქიტექტურული ნაკრძალის ტერიტორიის განაშენიანები-  
საგან განთავისუფლების შესახებ.
- 25. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო  
კომიტეტის დებულების“ დამატების შესახებ.





26. „ეროზიისა და ღვარცოფის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და ტყესაკაფი ნარგავების მშენებლობის ექსპლუატაციისა და რემონტის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე.
27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 21 აგვისტოს № 526 დადგენილების დამატების შესახებ.
28. „საქართველოს სს რესპუბლიკაში სისოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშობრივი დარაიონების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 30 მარტის № 199 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.
29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურის შესახებ.
30. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 20 ნოემბრის № 694 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წესდების მე-2 პუნქტში შესწორების შეტანის შესახებ.
31. თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის სამმართველოს წესდების დამტკიცების შესახებ.
32. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 ივლისის № 410 დადგენილების დამატების შესახებ.
33. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში „სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების“ გამოყენების თავისებურებათა შესახებ.
34. შიგარესრესპუბლიკური სისოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების 1968 წლის გეგმის შესახებ.

## საქართველოს კვ სენზორული კომიზგვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დაღმენილებები

**21** 1967 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დარგში მიღწეული საუკეთესო განვანებლებისათვის გარდამავალი წითელი დროშების მიწოდების შესახებ

### ამონაქრები

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფსაბჭო ა დ გ ე ნ ე:

13. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს 1963 წლის 19 მარტის № 181 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს 1968 წლიდან დაწყებული, ორი გარდამავალი წითელი დროშა კვარტალის განმავლობაში სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის, რაიონების ჯგუფების მიხედვით.

რაიონების პირველ ჯგუფს მიეკუთვნოს ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, ბორჯომის, საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, გარდაბნის, მცხეთის, მარნეულის, ბოლნისის, წალკის, დუშეთის, თეთრიწყაროს, დმანისის, თიანეთის, ყაზბეგის, ცხინვალის, ზნაურის, ჯავისა და ლენინგორის რაიონები.

რაიონების მეორე ჯგუფს მიეკუთვნოს წყალტუბოს, ზესტაფონის, სამტრედიის, წულუკიძის, ვანის, მიაკოვსკის, თერჯოლის, ჩოხატაურის, ჭიათურის, საჩხერის, ორჯონიკიძის, ტყიბულის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, აბაშის, ცხაპაის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მახარაძის, ლანჩხუთის, მესტიის, სოხუმის, გულრიფშის, გალის, გაგრის, გუდაუთის, ოჩამჩირის, ბათუმის, ქობულეთის, ქედის, ხულოს და შუახევის რაიონები.

14. დაწესდეს, 1968 წლიდან დაწყებული, გარდამავალი წითელი დროშა კარტოფილის წარმოებისა და დამზადების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

15. დამტკიცდეს ახალი რედაქციით პირობები რაიონებისათვის საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მისანიჭებლად კვარტალის განმავლობაში სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების



მიყიდვის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის, წლის განმავლობაში სიმინდისა და კარტოფილის წარმოებისა და დამზადების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

საქართველოს კპ  
ცენტრალური კომიტეტის  
მდივანი  
**ბ. შაპანაძე.**

საქართველოს სსრ  
მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე  
**ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს  
პროფსაბჭოს  
თავმჯდომარე  
**უ. კინაძე.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 12 მარტი, № 112.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს  
1968 წლის 12 მარტის № 112  
დადგენილების დანართი

### პ ი რ ო ბ ე ბ ი

რაიონებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მისანიჭებლად კვარტალის განმავლობაში სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის და წლის განმავლობაში სიმინდისა და კარტოფილის მიყიდვის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის

მეცხოველეობის პროდუქტებისა (კვარტალის განმავლობაში)

სახელმწიფოსათვის პირუტყვისა და ფრინვლის, რძის, კვერცხისა და მატყლის მიყიდვის, ჩაბარებული პირუტყვისა და ფრინვლის ხარისხის მაღალი მაჩვენებლებისათვის, ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინვლის სულადობის ზრდის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების, ცხოველებისა და ფრინვლის მატებისა და შენარჩუნების, სარემონტო მოზარდულის გამოზრდის წლიური გეგმების შესრულების მაჩვენებლების გათვალისწინებით.

სიმინდისა (წლის განმავლობაში)

სიმინდის მოსავლიანობის გადიდების, საერთო მოსავლის ზრდის, სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმის და მოთხოვნილების რაოდენობით თესლის გამოყოფის გეგმის შესრულების მაღალი მაჩვენებლებისათვის.

კარტოფილისა (წლის განმავლობაში)

კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების, საერთო მოსავლის ზრდის, სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმის და მოთხოვნილების რაოდენობით თესლის გამოყოფის გეგმის შესრულების მაღალი მაჩვენებლებისათვის.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

**22** საქართველოს სსრ საწარმოებისა და ორგანიზაციების სპეციალური ტანსაცმლით, სპეციალური ფეხსაცმლით და საცავი მოწყობილობით უზრუნველყოფის წინის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 19 ოქტომბრის № 963 დადგენილების და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საქავშირო ცენტრალური საბჭოს 1966 წლის 9 აგვისტოს № 621 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით, სპეციალური ფეხსაცმლითა და საცავი მოწყობილობით.

2. იმასთან დაკავშირებით, რომ განაცხადების განხილვის და ფონდების გამოყოფის ყველა სახის სამუშაოები, შეკვეთების შესრულებისადმი კონტროლ., აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე ორგანიზაციებისა და საწარმოების უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით, სპეციალური ფეხსაცმლითა და საცავი მოწყობილობით, რასაც წინათ ასრულებდა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს „მსუბუქმარაგვასალების“ სამმართველო, ეკისრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს, შემცირდეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს „მსუბუქმარაგვასალების“ სამმართველოს აპარატი სამი საშტატო ერთეულით 280 მან. ხელფასის ფონდით და გადაეცეს ეს საშტატო ერთეულები და ხელფასის ფონდი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს თავისი ცენტრალური აპარატის დასაკომპლექტებლად; ამის გარდა, გადაეცეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს „მსუბუქმარაგვასალების“ სამმართველოდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს ერთი 300 კვ. მეტრი ფართობის სასაწყობო სადგომი (მეველის ქუჩაზე № 21), სპეციალური ტანსაცმლისა და სპეციალური ფეხსაცმლის, საცავ მოწყობილობათა, ფურნიტურისა და სხვა მასალების შესანახად და საწყობის გამგის ერთი ერთეული 90 მან. თანამდებობრივი განაკვეთით.

3. დაწესდეს, რომ:

ა) რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროები და უწყებები, აგრეთვე არასამრეწველო საქავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები, რომელთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ხორციელდება რესპუბლიკის მინისტრთა



საბჭოს ფონდებით, წარუდგენენ განაცხადებს სპეციალური ტანსაცმლის დასამზადებელ ქსოვილებზე, აგრეთვე სპეციალურ ფეხსაცმელსა და საცავ მოწყობილობებზე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგვეგმო კომიტეტს, ხოლო საკავშირო და სამრეწველო საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს, დაწესებულ ვადებში და დადგენილი წესის შესაბამისი ფორმების მიხედვით;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო:

განიხილავს „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან მიღებულ განაცხადებს ყველა სახის სპეციალურ ტანსაცმელზე, სპეციალურ ფეხსაცმელსა, საცავ მოწყობილობებსა და სამკერვალო ნაწარმის შეკერვაზე კოდით „სახელმწიფო ბიუჯეტი“, გაანაწილებს შეკვეთებს რესპუბლიკის სამკერვალო და ფეხსაცმლის საწარმოების საწარმოო სიმძლავრის შესაბამისად და შეკვეთის პროექტს აცნობებს იმ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც ახორციელებენ სპეციალური ტანსაცმლის, სპეციალური ფეხსაცმლისა და საცავი მოწყობილობის შეკერვას და დამზადებას, ხოლო ასლს გაუგზავნის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგვეგმო კომიტეტს იმ ვადებში, რომლებიც გათვალისწინებულია სახალხო-სამეურნეო გეგმის შესადგენად დაგეგმილი პერიოდისათვის;

მისცემს სპეციალური ტანსაცმლის, სპეციალური ფეხსაცმლისა და საცავი მოწყობილობის დამზადების შეკვეთებს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებს და გაანაწილებს მათ რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებსა და უწყებებს შორის, აგრეთვე სამრეწველო საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს შორის ნედლეულისა და მასალების იმ ფონდების ფარგლებში, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოუყოფს მომხმარებლებს, ხოლო საკავშირო და სამრეწველო საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით — „სოიუზგლავსპეცოდექლის“ მიერ გამოყოფილი ფონდების შესაბამისად;

კონტროლს გაუწევს სპეციალური ტანსაცმლის, სპეციალური ფეხსაცმლისა და საცავი მოწყობილობის დასამზადებელი საწარმოების უზრუნველყოფას ქსოვილებითა და სხვა მასალებით, რომლებიც საჭიროა აღნიშნულ ნაკეთობათა დასამზადებლად, მისაწოდებელი სპეციალური ტანსაცმლის და მის დასამზადებლად საჭირო ქსოვილების, სპეციალური ფეხსაცმლისა და საცავი მოწყობილობის ხარისხის, აგრეთვე ამ ნაწარმისა და მასალების დროულად მიწოდებას;

გ) საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და მისი ქვესაუწყებო ბაზები მისაწოდებენ ქსოვილებს ასორტიმენტულად (არტიკულების მიხედვით) იმ ორგანიზაციებსა და საწარმოებს, რომლებიც ამზადებენ სპეციალურ ტანსაცმელს, სპეციალურ ფეხსაცმელს და ქურჩ-ბეწვეულის ნაწარმს, აგრეთვე მომხმარებელ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს მითითებით;



დ) სპეციალური ტანსაცმლის, სპეციალური ფეხსაცმლის და საცავი მოწყობილობის დამამზადებელი საწარმოების დამხმარე მასალებით უზრუნველყოფას (ბამბა, ვატინი, ძაფი, ფურნიტურა და სხვ.) განახორციელებენ სამინისტროები და უწყებები, რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან ეს საწარმოები.

4. დევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ ქვესაუწყებო საწარმოებში სპეციალური ტანსაცმლის, სპეციალური ფეხსაცმლის და საცავი მოწყობილობის წარმოება წარმოების იმ მოცულობის შესაბამისად, რაც დაწესებულია სახალხო-სამეურნეო გეგმით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს განაცხადების მიხედვით.

საქართველოს სსრ  
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
**ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს  
 პროფსაბჭოს თავმჯდომარე  
**შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1968 წლის 28 მარტი, № 135.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

### 23 საქართველოს სსრ სპეცპრო კალატის წესდების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მოწონებულ იქნას თანდართული პროექტი საქართველოს სსრ სავაქრო კალატის წესდებისა და რეკომენდებულ იქნას ეს წესდება კალატის წევრთა საერთო კრებაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. ძალდაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 30 აპრილის № 328 დადგენილება საქართველოს სსრ სავაქრო კალატის წესდების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **მ. მებრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წლის 4 მარტი, № 100.

მ ო წ ო ნ ე ბ ა უ ლ ი ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

1968 წლის 4 მარტის № 100

დადგენილებით

## ვ ე ს დ ე ბ ა

 ს ა მ პ რ თ ვ ე ლ ო ს   ს ა გ ო მ ო თ ა   ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი   რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს  
 ს ა ვ ა პ რ ო   პ ა ლ ა ტ ი ს ა

## I.   ზ ო გ ა დ ი   დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი

1. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატა წარმოადგენს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც ხელს უწყობს სსრ კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან და უცხო ქვეყნებთან ეკონომიური კავშირთა განვითარებას და განმტკიცებას.

საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის საქმიანობა ხორციელდება ამ წესდების შესაბამისად.

2. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატა:

ა) დაამყარებს და განავითარებს კავშირთა განვითარებას სსრ კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოთა ორგანიზაციებთან და უცხოეთის საქმიან და საზოგადოებრივ წრეებთან, მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების სავაჭრო პალატების ყრილობებსა და სავაჭრო პალატების საერთაშორისო ყრილობებზე. მას შეუძლია შევიდეს შერეული სავაჭრო პალატების წევრთა შემადგენლობაში და სხვა საერთაშორისო ეკონომიური ორგანიზაციების შემადგენლობაში;

ბ) მოიწვევს და მიიღებს საქართველოს სს რესპუბლიკაში დადგენილი წესით სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სავაჭრო-ეკონომიურ დელეგაციებს და უცხოეთის სავაჭრო-ეკონომიურ დელეგაციებს, აგრეთვე გაგზავნის დელეგაციებს საქართველოდან სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში და საზღვარგარეთ.

მოაწვობს საქართველოს სს რესპუბლიკაში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში და საზღვარგარეთ მოხსენებებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის, ვაჭრობისა და სხვა ქვეყნებთან მისი ეკონომიური კავშირთა განვითარების შესახებ;

გ) შეისწავლის და განაზოგადებს საცნობარო და საინფორმაციო მასალებს უცხო სახელმწიფოების ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის შესახებ, სავაჭრო პალატების, იმ საერთაშორისო ეკონომიური და სხვა ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ, რომლებიც მუშაობენ საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიური კავშირთა განვითარების გაფართოების საკითხებზე;

დ) გამოსცემს პერიოდულ ჟურნალს, ბიულეტენებსა და ცნობარებს პალატის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე იმ მიზნით, რომ ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის წევრებს და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს უცხო სახელმწიფოების და საზღვარგარეთ საზოგადოებრივი

წრეების ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის შესახებ, საქართველოს სსრ ეკონომიკის შესახებ;

ე) მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა სავაჭრო-სამრეწველო გამოფენების მოწყობაში საზღვარგარეთ და განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს, რათა მოამზადოს საქართველოს სამეურნეო ორგანიზაციები საზღვარგარეთის ბაზრობებსა და გამოფენებში მონაწილეობისათვის, აგრეთვე ხელს შეუწყობს უცხოეთის გამოფენების მოწყობას საქართველოში;

ვ) აწარმოებს დაინტერესებული საბჭოთა და უცხოეთის ორგანიზაციებისა და პირთა თხოვნით საქონლისა და მოწყობილობის ექსპერტიზას და ტექსტების თარგმნას უცხო ენიდან რუსულ და ქართულ ენაზე და რუსული და ქართული ენიდან — უცხო ენებზე;

ზ) დაამოწმებს დაინტერესებულ ორგანიზაციათა და პირთა თხოვნით სსრ კავშირში მიღებულ სავაჭრო და სანავსადგურო ადათ-წესებს;

თ) დაამოწმებს სავაჭრო გარიგებათა პირობების შესაბამისად ფორს-მაჟორის ვითარებას;

ი) ხელს შეუწყობს პალატის წევრებსა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და პირებს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლას ეკონომიური თანამშრომლობისა და საგარეო ვაჭრობის საკითხებზე, ლექციების, მოხსენებების, თათბირებისა და კონფერენციების მოწყობის გზით.

3. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატა თავის საქმიანობას ათანხმებს სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატასთან.

4. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატას აქვს შესაბამისი განყოფილებები და ქვეგანყოფილებები, აგრეთვე ქვესაუწყებო ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ სამეურნეო ანგარიშზე.

5. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატა არის იურიდიული პირი: მას მოეპოვება განცალკევებული ქონება, შეუძლია თავისი სახელით შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები და იკისროს ვალდებულებანი, გამოვიდეს მოსარჩლედ და მოპასუხედ სასამართლოში, არბიტრაჟში ან სამედიატორო სასამართლოში.

6. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატას აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია თავისი სახელწოდება და პალატის ემბლემა.

7. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

## II. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის შემადგენლობა

8. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატა შედგება ნამდვილი და საპატიო წევრებისა და წევრ-კორესპონდენტებისაგან.

9. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის ნამდვილ წევრებად შეიძლება იყვნენ საბჭოთა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

10. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის ნამდვილ წევრებად მიღება წარ-  
 კობებს პალატის პრეზიდიუმის მიერ საბჭოთა სახელმწიფო, კოოპერაციული და  
 სამეურნეო ორგანიზაციების წერილობითი განცხადებებით, წევრად მიღება-  
 ხე უარი შეიძლება გასაჩივრებულ იქნას პალატის წევრთა საერთო კრების წი-  
 ნაშე, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

11. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის ნამდვილ წევრებს უფლება აქვთ:

ა) მონაწილეობა მიიღონ საერთო კრებებზე პალატის საქმიანობის საკითხე-  
 ბის განხილვისა და გადაწყვეტაში;

ბ) აირჩიონ პალატის მართვა-გამგეობის ორგანოები;

გ) მიიღონ პალატისაგან საჭირო დახმარება პალატის სამოქმედო არეში  
 შემავალი საკითხების გადაწყვეტაში, აგრეთვე სხვადასხვა საინფორმაციო და  
 საცნობარო მასალები ამ საკითხებზე;

დ) შეიტანონ პალატის პრეზიდიუმის და წევრთა საერთო კრების განსახილ-  
 ველად წინადადებანი პალატის სამოქმედო არეში შემავალ საკითხებზე;

ე) ასარგებლონ პირველი რიგის წესით პალატის მომსახურებით, აგრეთვე  
 შეღავათებით პალატის მომსახურების საფასურის ანაზღაურების დროს.

12. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის ნამდვილი წევრები მოვალენი  
 არიან შეიტანონ სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის მიერ დაწესებულ ვადებში  
 შესასვლელი და საწევრო შენატანები, ამ წესების 32 მუხლის თანახმად.

საწევრო გადასახადის შეუტანლობა სამი თვის განმავლობაში გამოიწვევს  
 პალატის ნამდვილ წევრთა რიცხვიდან გასვლას.

13. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის საპატიო წევრებს აირჩევს პალა-  
 ტის წევრთა საერთო კრება პალატის პრეზიდიუმის წინადადებებით, იმ პირთა  
 და ორგანიზაციათა რიცხვიდან, რომლებმაც განსაკუთრებით თვალსაჩინო სამსა-  
 ხური გაუწიეს საქართველოს სსრ ეკონომიური კავშირთა თვითობის განვითა-  
 რების საქმეს.

პალატის საპატიო წევრები, სარგებლობენ რა ნამდვილ წევრთა ყველა  
 უფლებით, შესასვლელ და საწევრო შენატანებს არ იხდიან.

14. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის წევრ-კორესპონდენტებად შეიძ-  
 ლება იყვნენ ის ორგანიზაციები და პირები, რომელთაც ადგილსამყოფელი აქვთ  
 როგორც საქართველოს სსრ რესპუბლიკასა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში,  
 ისე საზღვარგარეთაც, რომლებმაც განაცხადეს მზადყოფნა სარგებლობა მოუ-  
 ტანონ პალატას მისი ამოცანების განხორციელებაში.

წევრ-კორესპონდენტად მიღების საკითხს გადაწყვეტს პალატის პრეზი-  
 დიუმი.

წევრ-კორესპონდენტებს შეუძლიათ მიიღონ პალატაში სხვადასხვა საინ-  
 ფორმაციო და საცნობარო მასალები მისი საქმიანობის საკითხებზე, აგრეთვე  
 ისარგებლონ პალატის სხვა მომსახურებით.

წევრ-კორესპონდენტები არ იხდიან შესასვლელ და საწევრო შენატანებს.

### III. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის სექციები

15. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის პრეზიდიუმს შეუძლია შექმნას პალატის შემადგენლობაში სექციები, რომლებსაც ეკისრებათ პალატის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

16. სექციების შემადგენლობაში, საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის წევრებს გარდა, შეუძლიათ შესვლა სექციების წევრებად პალატის პრეზიდიუმის მიერ მიწვეულ ორგანიზაციებსა და პირებს, რომლებიც არ არიან პალატის წევრები.

17. სექციების მუშაობის შინაარსი და ფორმა დაწესდება სექციების სპეციალური დებულებებით, რომლებსაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის პრეზიდიუმი.

18.

### IV. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის განყოფილებები

18. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატას შეუძლია მოაწყოს განყოფილებები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

19. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის განყოფილებათა საქმიანობის წესი განისაზღვრება თვითეული განყოფილების დებულებით, რომელსაც დაამტკიცებს პალატის პრეზიდიუმი.

### V. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის მმართველობის ორგანოები

20. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის მმართველობის ორგანოებია: პალატის წევრთა საერთო კრება; პალატის პრეზიდიუმი.

#### პალატის წევრთა საერთო კრება

21. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის წევრთა მორიგი საერთო კრება მოიწვევა სამ წელიწადში ერთხელ მაინც.

პალატის წევრთა საერთო კრებამდე 15 დღით ადრე დაიგზავნება წერილობითი შეტყობინება კრების დღის წესრიგის შესახებ.

ცნობა პალატის წევრთა საერთო კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნდება პრესაში.

22. გადაუდებელი საკითხების განსახილველად მოიწვევა პალატის წევრთა საგანგებო საერთო კრებები.

საგანგებო საერთო კრებები მოიწვევა პალატის პრეზიდიუმის, სარევიზიო კომისიის მიერ ან პალატის წევრთა 1/5-ის მოთხოვნით.



23. პალატის წევრთა საერთო კრების კომპეტენციაში შედის:

ა) განხილვა პალატის პრეზიდიუმის მოხსენებებისა პალატის საქმიანობის შესახებ;

ბ) პალატის პრეზიდიუმის არჩევნები;

გ) სარევიზიო კომისიის არჩევნები;

დ) განხილვა საკითხებისა პალატის წესდების შეცვლის ან დამატების შესახებ, აგრეთვე პალატის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ;

ე) განხილვა საჩივრებისა, რომლებიც შეტანილია პალატის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებაზე პალატის წევრად მიღებაზე უარის თქმისა და პალატის წევრთა რიცხვიდან გარიცხვის შესახებ;

ვ) იმ სხვა საკითხების განხილვა, რომლებიც პალატის საქმიანობას შეეხება.

24. პალატის წევრთა სულ ცოტა ერთი მეხუთედის მოთხოვნით როგორც მორიგი, ისე საგანგებო საერთო კრებების დღის წესრიგში შეტანილ უნდა იქნას საერთო კრებაზე განსახილველი ცალკეული საკითხები, თუ ეს მოთხოვნა წარედგინა პალატის პრეზიდიუმს კრების მოწვევამდე.

25. პალატის წევრთა საერთო კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება პალატის ნამდვილ წევრთა საერთო რიცხვის ნახევარი მაინც. ცალკეულ შემთხვევებში საერთო კრება უფლებამოსილად ითვლება მაშინაც კი, თუ საერთო კრებაზე მოსული პალატის წევრები არ შეადგენენ პალატის წევრთა საერთო რიცხვის ნახევარს, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს წინასწარ იყო დათქმული კრების მოწვევის შესახებ გაგზავნილ შეტყობინებაში.

26. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის წევრთა როგორც მორიგი, ისე საგანგებო საერთო კრებაზე განსახილველი საკითხები გადაწყდება ხმების უბრალო უმრავლესობით, გარდა ისეთი საკითხებისა, როგორცაა: პალატის წესდების შეცვლა ან დამატება, პალატის საქმიანობის შეწყვეტა, აგრეთვე საკითხებისა, რომლებიც წამოიჭრება პალატის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებებზე შეტანილი საჩივრების გამო პალატის წევრად მიღებაზე უარის თქმისა და პალატის წევრობიდან გარიცხვის შესახებ.

ამ საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა პალატის იმ წევრთა ხმების სულ ცოტა ორიმესამედი, რომლებიც საერთო კრებას ესწრებიან.

27. პალატის მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობის მიზნით, პალატის წევრთა საერთო კრება აირჩევს პალატის პრეზიდიუმს იმ რაოდენობით, რასაც პალატის საერთო კრება განსაზღვრავს, პრეზიდიუმის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და წევრთა შემადგენლობით.

### პ ა ლ ა ტ ი ს პ რ ე ზ ი დ ი უ მ ი

ა) ხელმძღვანელობას უწევს პალატის განყოფილებების, ქვეგანყოფილებებისა და სხვა ქვესაუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების ყოველდღიურ საქმიანობას;

ბ) გამოდის პალატის წარმომადგენლად საბჭოთა, უცხოეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პირებთან ურთიერთობაში;

გ) მოაწყობს და შეამოწმებს პალატის წევრთა საერთო კრებების გადაწყვეტილებათა შესრულებას;

დ) შეათანხმებს თავის საქმიანობას სრულიად საკავშირო საეკტრო პალატასთან;

ე) განაგებს სახსრებს პალატის საერთო კრების მიერ დაწესებულ ფარგლებში და კონტროლს უწევს პალატის, პალატისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების საფინანსო-სამეურნეო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შესრულებას;

ვ) შეიმუშავებს და პალატის წევრთა საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს პალატის შეჯამებულ წლიურ საფინანსო-სამეურნეო გეგმას, შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას, ფონდებს (საწესდებო, მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა), წლიურ საფინანსო ანგარიშს;

ზ) დაამტკიცებს პალატის აპარატის, ქვესაუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების სტრუქტურას, შტატებს და ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვებს, საქართველოს საეკტრო პალატისათვის დაწესებულ მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის იმ ფონდის ფარგლებში, რომელიც დარიცხულია საშუალო თანამდებობრივი განაკვეთების საფუძველზე, და თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით;

თ) დააწესებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იმ სამუშაოთა ფასდებას, რომლებსაც დაინტერესებული ორგანიზაციების თხოვნით ასრულებენ პალატის განყოფილებები და ქვესაუწყებო ორგანიზაციები;

ი) მოაწყობს და გააუქმებს პალატის განყოფილებებს, ქვეგანყოფილებებს, ქვესაუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებს;

კ) წახალისებს კარგი მუშაობისათვის პალატის განყოფილებებს, ქვეგანყოფილებებს, ქვესაუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებს;

ლ) მიიღებს და ვარიცხავს პალატის ნამდვილ წევრებს და წევრ-კორესპონდენტებს და პალატის წევრთა საერთო კრების განსახილველად შეიტანს პალატის საპატიო წევრთა მიღების საკითხებს;

მ) დააწესებს საწევრო გადასახადის შეტანის ვადებს;

ნ) შექმნის სპეციალურ სექციებს პალატის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების შესამუშავებლად და ამ სექციების მუშაობაში მონაწილეობას მიაღებინებს იმ ორგანიზაციებსა და პირებს, რომლებიც პალატის წევრები არ არიან;

ო) დაამტკიცებს დებულებებს პალატის განყოფილებების, ქვეგანყოფილებების, ქვესაუწყებო ორგანიზაციების, საწარმოებისა და სექციების შესახებ.

28. საქართველოს სსრ საეკტრო პალატის პრეზიდიუმის სხდომები უფლებამოსილად ითვლება. თუ მათ ესწრება პალატის პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობის ნახევარი მაინც.

29. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის საქმეებზე მიმოწერას აწარმოებს პალატის პრეზიდიუმი;

ხელშეკრულებებს, ვალდებულებებს, მინდობილობებს და ფულად დოკუმენტებს ხელს აწერს საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე.

ფულადს საანგარიშსწორებო დოკუმენტებს თავმჯდომარესთან და მის მოადგილესთან ერთად ხელს აწერს მთავარი ბუღალტერი.

## VI. სარევიზიო კომისია

30. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის ფულადი ანგარიშებისა და ხარჯთაღრიცხვების რევიზიისათვის, სალაროსა და ქონების, აგრეთვე საქმისწარმოებისა და ანგარიშგების შესამოწმებლად პალატის საერთო კრება ირჩევს სარევიზიო კომისიას სამი წლის ვადით საერთო კრების მიერ განსაზღვრული შემადგენლობით იმ პირებისაგან, რომლებიც არ შედიან პალატის პრეზიდიუმში.

## VII. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის სახსრები

31. პალატის სახსრებს შეადგენს:

- ა) შესასვლელი და საწევრო შენატანები;
- ბ) პალატის მიერ გაწეული მომსახურებისათვის იმ ფასდების მიხედვით გადასდევინებული საფასური, რასაც პალატის პრეზიდიუმი დააწესებს;
- გ) გამოფენების მოწყობისაგან მიღებული შემოსავალი;
- დ) გამოცემებისაგან მიღებული შემოსავალი;
- ე) სხვა შემოსავალი.

32. შესასვლელი შენატანი დაწესებულია 10 მანეთის რაოდენობით, საწევრო გადასახადი — 50 მანეთი წელიწადში.

33. პალატის სახსრები მოხმარდება მისი საქმიანობის და ფონდების (საწესდებო, მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა) შექმნის უზრუნველყოფას.

34. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის საანგარიშო წელიწადი დაწესებულია 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

## VIII. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის საქმიანობის შეწყვეტა

35. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის საქმიანობის შეწყვეტის, მისი საქმეებისა და ქონების ლიკვიდაციის წესის საკითხს გადაწყვეტს პალატის წევრთა საერთო კრება.



## 24 მცხეთის არქეოლოგიური და არქიტექტურული ნაპრაღის ტერიტორიის განაშენიანებისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

2. აიკრძალოს ყოველგვარი მშენებლობა მცხეთის არქეოლოგიური და არქიტექტურული ნაპრაღის ტერიტორიაზე საქართველოს სსრ სახმშენის სპეციალური ნებართვის გარეშე.

4. დავვალოს მცხეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომს აკრძალოს საქმდროენერგომშენის დროებითი საცხოვრებელი დაბის მშენებლობა სოფელ წიწამურის რაიონში და დადგენილი წესით შეარჩიოს ამისათვის ახალი ნაკვეთი მცხეთის ნაპრაღის საზღვრებს გარეთ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **მ. მებრელიშვილი**.

ქ. თბილისი, 1968 წლის 7 მარტი, № 106.

## 25 „საპარტვილოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის დებულების დეზულეების“ დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნას „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის დებულებაში“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 2 ივნისის № 349 დადგენილებით, შემდეგი დამატებანი:

1. პუნქტი 14 შემდეგი შინაარსისა:

„14. რესპუბლიკის შრომითი რესურსების უფრო რაციონალურად დაგეგმვისა და გამოყენების პრობლემური საკითხების გადაჭრაში დახმარების გასაწევად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტთან შეიქმნება სამეცნიერო-ეკონომიური საბჭო. სამეცნიერო-ეკონომიური საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას დამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.“

2. მე-4 პუნქტის ქვეპუნქტი „ვ“ შემდეგი შინაარსისა:

„ვ) შეისწავლის მიზეზებს, რომლებიც მუშახელის დენადობას იწვევენ საწარმოებში და მშენებლობებზე, და განსახილველად წარუდგენს წინადადებებს

ამ საკითხზე სათანადო ზომების მისაღებად სამინისტროებსა და უწყებებს, ხოლო საჭირო შემთხვევებში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს“.

3. მე-5 პუნქტის აბზაცები შემდეგი შინაარსისა:

„ — მოაწყობს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებისათვის, იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც შესაბამის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში მოიპოვება, ხოლო საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით დააყენებს საკითხს ამ ინსტიტუტების სამუშაო გეგმაში მიზნობრივი დანიშნულების ცალკეული თემების შეტანის შესახებ“.

„ — სამეცნიერო-საკვლევით ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს ახორციელებენ შრომითი რესურსების გამოყენების დარგში, თავიანთ თემატურ გეგმებს შეუთანხმებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წლის 12 მარტი, № 108.

**26** „ეროზიისა და ღვარცოფის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და ტექნოლოგიური ნარგავების მშენებლობის, ექსპლუატაციისა და რემონტის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება „ეროზიის და ღვარცოფის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და ტექნოლოგიური ნარგავების მშენებლობის, ექსპლუატაციისა და რემონტის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წლის 15 მარტი, № 111.



დამტკიცებულია  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1968 წლის 15 მარტის № 111  
დადგენილებით

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ეროვნისა და ღვარცოფის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და ტყე-  
საცავი ნარგავების მშენებლობის, ექსპლუატაციისა და რემონტის წესის შესახებ


1. ეს დებულება მიღებულია შესაბამისად საქართველოს კვ ცენტრალური  
კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის  
№ 376 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ქარისმიერი და  
წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შე-  
სახებ“ და სავალდებულო ყველა კოლმეურნეობისა, საბჭოთა მეურნეობისა და  
სხვა სახელმწიფო მეურნეობისათვის, რომელთა მიწებზე აშენებულია ეროზიის  
საწინააღმდეგო ნაგებობანი და შექმნილია ტყესაცავი ნარგავები, აგრეთვე იმ  
ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, რომლებიც ასრულებენ ეროზიის და  
ღვარცოფის საწინააღმდეგო სამუშაოებს.

587.0

2. ეროზიისა და ღვარცოფის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს,  
აგრეთვე ტყესაცავ ნარგავებს წარმოადგენენ წყალშემკავებელი, წყალგამყოფი,  
წყალსარინი ზენიულები და თხრილები, წყალსადები ნაგებობანი — ღარები,  
სწრაფდენები, საფეხუროვანი ვარდნილები, საყრდენი კედლები, კაშხალები,  
სავუბარები, ნაპირსამაგრი და სხვა ნაგებობანი, ტერასები, მინდორსაცავი ტყის  
ზოლები, მრავალწლიანი ბალახიანი ზოლები, ქვიშარების, ხეებისა და სა-  
სოფლო-სამეურნეო გამოყენებისათვის სხვა უვარგისი მიწების გასამაგრებლად,  
რომლებიც შეიქმნება რესპუბლიკის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობე-  
ბის და სხვა მეურნეობების მიწებზე იმ მიზნით, რომ დაიცვან მიწები ქარისმიერი  
და წყლისმიერი ეროზიისაგან.

3. ეროზიისა და ღვარცოფის საწინააღმდეგო ნაგებობათა მშენებლობა და  
ტყესაცავი ნარგავების შექმნა ხორციელდება მხოლოდ იმ პროექტების მიხედ-  
ვით, რომლებსაც დადგენილი წესით დაამტკიცებენ საქართველოს სსრ მელიო-  
რაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციები, რესპუბლიკურ  
დაერთიანება „საქსოფლტექნიკა“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სა-  
ტყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, კოლმეურნეობების, საბჭოთა მე-  
ურნეობების და სხვა ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე, სახელმეკრულებო სა-  
წყისებზე, აგრეთვე ამ მიზნისათვის სპეციალურად გამოყოფილი სახელმწიფო  
სახსრების ხარჯზე. ეროზიის საწინააღმდეგო უმარტივესი სამუშაოების შესრუ-  
ლება შეუძლიათ თვით მეურნეობებს სამეურნეო წესით.

4. აშენებულ, რეკონსტრუირებული ან კაპიტალურად შეკეთებული ერო-  
ზიისა და ღვარცოფის საწინააღმდეგო ნაგებობანი და ტყესაცავი ნარგავები სა-





ექსპლუატაციოდ მიიღებინა იმ მიმღები კომისიების აქტებით, რომლებსაც დანიშნავენ შემკვეთნი (სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოები და საბჭოთა მეურნეობების ტრესტები), იმ დროიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა, რაც მოიჯარისაგან მიიღებენ ცნობას, რომ ობიექტები მზადაა საქსპლუატაციოდ გადასაცემად. მინდორსაცავი ტყის ზოლები, საცავი ნარგავები მდინარეებისა და წყალსატევების გასწვრივ მიიღებინა საქსპლუატაციოდ ვარჯების შეკვრის შემდეგ, მაგრამ არა უადრეს სამი წლისა.

მიმღები კომისიის შემადგენლობაში შედიან შემკვეთის, მოიჯარის და იმ მეურნეობის წარმომადგენლები, რომლის მიწებზედაც შესრულებულია სამუშაოები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენლები, რომლებსაც ხანგრძლივი სარგებლობისათვის გადაეცემათ ნაგებობანი და ტყესაცავი ნარგავები.

იმ შემთხვევაში, თუ საცავ ნაგებობებს და ტყესაცავ ნარგავებს სამეურნეობათაშორისო მნიშვნელობა აქვთ, მიმღებ კომისიაში შეყვანილი იქნებიან აგრეთვე იმ ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომელსაც ეს ობიექტები გადაეცემათ საქსპლუატაციოდ. მიმღები კომისიის აქტებს დაამტკიცებენ ის ორგანიზაციები, რომლებმაც მიმღები კომისიები დანიშნეს.

ნაგებობათა და ნარგავობათა ცალკეული რიგები, ნაწილები, ასამუშავებელი კომპლექსები მიიღებინა საქსპლუატაციოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია მათი გადაცემა საქსპლუატაციოდ პროექტის თანახმად, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია მათი ნორმალური ექსპლუატაცია მთელი კომპლექსისაგან დამოუკიდებლად. ობიექტების ცალკეული ნაწილების მიღების აქტები საშუალებდა და მათ წარადგენენ კომისიები აშენებული ობიექტების მთლიანად მიღების დროს.

კომისიის მიერ მიღებული ობიექტები გადაეცემა საქსპლუატაციოდ მიწათმოსარგებლე მეურნეობათა ბალანსზე სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოს უფროსის ბრძანებით (კოლმეურნეობებში) ან საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხელმძღვანელის ბრძანებით (საბჭოთა მეურნეობებში) და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ბალანსზე—მათი ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით. ღვარცოფსაწინააღმდეგო და ნაპირსამაგრი დიდი ობიექტები, რომლებსაც სამეურნეობათაშორისო მნიშვნელობა აქვთ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გადაეცემა საქსპლუატაციოდ საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს.

5. მოიჯარე ორგანიზაცია მიმღებ კომისიას წარუდგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

ტყესაცავი ნარგავებისათვის — ყოველწლიური ინვენტარიზაციის მასალებს, აგროსატყეოსამელიორაციო ღონისძიებათა გეგმას და პროექტს, რომლითაც იქმნება ნარგავები;

ეროზიისა და ღვარცოფის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკური ნაგებობებისათვის — პროექტსა და სამუშაო ნახაზებს, მალულ სამუშაოთა აქტებს, ცვლი-

ლებებისა და პროექტისაგან გადახრის უწყისს, შეთანხმებულს შემკვეთთან და საპროექტო ორგანიზაციასთან, ცნობას სამუშაოთა საბალანსო ღირებულების შესახებ.

6. აკრძალულია საექსპლუატაციოდ მიღება აშენებული ნაგებობებისა და შექმნილი ტყესაცავი ნარგავებისა ისეთი დეფექტებით, რომლებიც ამცირებენ მათ საცავ თვისებებს, ვერ უზრუნველყოფენ ნორმალურ ექსპლუატაციას, არღვევენ უსაფრთხოების ტექნიკის პირობებს და სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, აგრეთვე ისეთი ობიექტებისა, რომელთაც აქვთ ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გადახრა პროექტისაგან. ამ მაჩვენებლების შეცვლას უნდა დაამტკიცოს იმ ორგანომ, რომელმაც პროექტი დაამტკიცა, მანამ, ვიდრე ობიექტი მიღებული იქნება საექსპლუატაციოდ.

7. დეფექტებსა და მოუთავებელ სამუშაოებს, რაც დაშვებულია ნაგებობათა მშენებლობის, მოწყობილობის მონტაჟისა და ტყესაცავი ნარგავების შექმნის დროს, გამოსასწორებს მოიჯარე ორგანიზაცია თავის ხარჯზე.

თუ ობიექტის საექსპლუატაციოდ მიღების პროცესში აღმოჩნდება, რომ საჭიროა პროექტით გაუთვალისწინებელ სამუშაოთა შესრულება, ეს სამუშაოები განხორციელდება ცალკეული პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით შემკვეთის ხარჯზე. ამ სამუშაოებმა არ უნდა შეუშალოს ხელი ობიექტის მთლიანად ან მისი ნაწილის (რიგის) მიღებას.

მოიჯარე ორგანიზაციები, რომლებიც მშენებლობას აწარმოებდნენ, პასუხისმგებელი არიან ნაპირსამაგრი, ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობათა, საცავი ჯებირების, მდინარეებსა და ხეობებზე აშენებული სხვა ნაგებობების მდგომარეობისათვის თოვლის ან ნიაღვრის წყლების პირველი წყალდიდობის გავლის შემდეგ და მოვალენი არიან უმოკლეს ვადაში აღადგინონ თავიანთ ხარჯზე მთელი ის ნგრევა, რაც ამ ნაგებობებს მოუვიდათ პირველი წყალდიდობისაგან.

8. მიწათმოსარგებლე მეურნეობები და ორგანიზაციები, რომლებსაც გადაეცემათ საექსპლუატაციოდ ეროზიისა და ღვარცოფსაწინააღმდეგო აშენებული ნაგებობანი და შექმნილი ტყესაცავი ნარგავები (ვარჯების შეკვრის შემდეგ) უზრუნველყოფენ მათს ნორმალურ ექსპლუატაციას და დაზიანებისაგან დაცვას.

9. ნაგებობებისა და ტყესაცავი ნარგავების მდგომარეობისადმი დაკვირვებისათვის და მიმდინარე რემონტის ჩასატარებლად მეურნეობებში გამოიყოფიან პასუხისმგებელი პირები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შეიქმნება სპეციალური რგოლები.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, რომელთა გამგებლობაში გადაცემულია აღნიშნული ნაგებობანი, უნდა უზრუნველყონ მათი მაღალხარისხოვანი მოვლა-პატრონობა, ეროზიის საწინააღმდეგო, ღვარცოფსაწინააღმდეგო ყველა ნაგებობის, ტყესაცავი ნარგავების ხანგრძლივი სამსახური და მათ მიერ ძირითადი დანიშნულების უკეთ შესრულება.

10. საცავი ნაგებობებისა და ტყესაცავი ნარგავების ექსპლუატაციის მუდმივ კონტროლს, აგრეთვე მათ პერიოდულ დათვალიერებას და გამოკვლევას განხორციელებენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხა-



ზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს, ტრესტების, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოების სპეციალისტები სატყეო და წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების სპეციალისტთა მონაწილეობით.

11. ეროზიის საწინააღმდეგო, ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობათა პერიოდული გაწმენდა დალამიანებისაგან და მათი მიმდინარე რემონტი მთლიანად ტარდება იმ მეურნეობათა ძალებითა და სახსრებით, რომელთა გამგებლობაში არიან ისინი გადაცემული, ხოლო კაპიტალურ რემონტს რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა — ნაპირსამაგრი, ღვარცოფსაწინააღმდეგო, წყალსაგდები ნაგებობებისა ხევეზე, სამეურნეობათაშორისო ტბორებსა და წყალსატევებზე ეწევიან საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ან რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ საექსპლუატაციო და სამშენებლო ორგანიზაციები, სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებთან ან საბჭოთა მეურნეობების ტრესტებთან, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა მეურნეობებთან სახელმეკრულებო საწყისებზე.

ტერასებზე, წყალშემკავებელ, წყალგამყოფ და წყალსარინ ზვინულებსა და არხებზე, ფსკერის საგუბრებზე და სხვა მარტივ ეროზიისაწინააღმდეგო ნაგებობებზე სარემონტო სამუშაოებს ასრულებენ საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ საწარმოები მეურნეობებთან სახელმეკრულებო საწყისებზე.

12. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები ეწევიან ნიადაგის დამუშავებას მწკრივებსშორის, საჭირო ჭრას ტყის მოვლითი წესით და მოვლის სხვა სამუშაოებს იმ ტყესაცავი ნარგავების საცავი როლის ასამაღლებლად, რომლებიც მათ მიიღეს სატყეო-სამეურნეო ორგანიზაციებისაგან, — თავიანთი ძალებითა და სახსრებით.

13. ეროზიის საწინააღმდეგო ნაგებობებისა და ტყესაცავი ნარგავების რემონტი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტარდება მეურნეობათა იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია ამორტიზაციისათვის. ხოლო სამეურნეობათაშორისო მნიშვნელობის ნაგებობებისა, რომლებიც გადაცემულია საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საექსპლუატაციო სამმართველოების ბალანსზე, — სახელმწიფო სახსრების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია ბიუჯეტით კაპიტალური რემონტისა და საექსპლუატაციო ხარჯებისათვის.

14. ეროზიის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და ტყესაცავი ნარგავების ჩამოწერა ბალანსიდან ხდება შესაბამისად სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1966 წლის 18 აპრილის ინსტრუქციისა „შენობათა, ნაგებობათა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მრეწველობისა და იმ სხვა ქონების ჩამოწერის შესახებ, რომელიც ირიცხება კოლმეურნეობების, საბჭოთა მე-

ურნობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების ძირითადი ფონდების (სახსრების) შემადგენლობაში“.

15. აკრძალულია: პირუტყვის ძოვება ფერდობებზე, წყალსარინ და წყალ-შემკავებელ ზვინულებსა და ჯებირებზე, ტერასირებულ ფერდობებზე, ნაპირების, დელეების გამაგრების ადგილებში, წყალსაგდებ ნაგებობათა საცავ ზონებში ტყესაცვ ნარგავებში, ხენა წყალმარეგულირებელი არხების მახლობლად ზვინულებისა და ჯებირების ფუძესთან პროექტით გათვალისწინებულ მანძილზე უფრო ახლოს; ქვიშის, თიხის, ქვისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულთა მოპოვებელი ყოველგვარი კარიერების მოწყობა ეროვნის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მახლობლად.

## 27 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 21 აგვისტოს № 526 დადგენილების დამატების შესახებ

შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 29 იანვრის ბრძანებულებისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-15 მუხლის დამატების თაობაზე“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„საავტომობილო ტრანსპორტით და საქალაქო ელექტროტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 21 აგვისტოს № 526 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მესამე აბზაცს დაემატოს სიტყვები: „და სამგზავრო საქალაქო და საქალაქთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტის და ელექტროტრანსპორტის (ტროლეიბუსი და ტრამვაი) ორგანოების წარმომადგენლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **მ. მიხრკელიძე.**

ქ. თბილისი, 1968 წლის 18 მარტი, № 116.



**28** „საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშობრივი დარაიონების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 30 მარტის № 199 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეთანხმების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშობრივ დარაიონებაში, რომელიც მიღებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 30 მარტის № 199 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **მ. მებრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წლის 28 მარტი, № 136.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1968 წლის 28 მარტის № 136  
დადგენილების დანართი

**ცვლილებანი და დამატებანი განაყოფში „ჯიშობრივი დარაიონება კულტურების მიხედვით“**

**ს ა შ ე მ ო დ გ ო მ ო ხ ო რ ბ ა ლ ი**

ჯიში უფხო 1 — გავრცელდეს დარაიონება II ზონაზე — სუბტროპიკული ტენიანი და III ზონაზე — ქვემო იმერეთის.

**ფ ე ტ ვ ი**

გამოირიცხოს ჯიშობრივი დარაიონების კატალოგის ტექსტიდან:

ჯიში პოდოლიანსკოე 24/273 XIII ზონაში — დიდი კავკასიონის შთიანტყიანი და XV ზონაში — შირაქის კახეთის ველიანი ურწყავი; ჯიში — ვესენოპოდოლიანსკოე 367 XIV ზონაში — სამგორის სარწყავი; ჯიში — სარატოვის 853 XV ზონაში — შირაქის კახეთის ველიანი ურწყავი, XVII ზონაში — ალაზნის მიღმა ტენიანი და XVIII ზონაში — მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირის ურწყავი ნაწილი.



### ლობიო

ჯიში ლიახვი — დარაიონდეს IV ზონაში — რაჭა-ლეჩხუმის დაბლობი და XII ზონაში — თრიალეთის მთიან-ტყიანი.

### სოია

1. ჯიში ნატახტარის I — დარაიონდეს XVI ზონაში — ალაზნის სარწყავი.
2. ჯიში ადრეულა 6 — მოიხსნას დარაიონებიდან XVI ზონაში — ალაზნის სარწყავი.

### თამბაქო

პიბრიდები: 155 და 417 — დაშვებულ იქნას დასარგავად აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში.

### კიტრი

ჯიში რუსტემ 96-1 — გავრცელდეს დარაიონება X ზონაში — ქვემო ქართლის სარწყავი.

### ხახვი თალგამზე

ჯიში სხვილისის ადგილობრივი — მოიხსნას დარაიონებიდან IX ზონაში — ქართლის სარწყავი მცხეთის რაიონში.

### ლობიო საბოსტნეულე

ჯიში საპარკე 75 — დარაიონდეს I ზონაში — სანაპირო სუბტროპიკული ტენიანი და ზედმეტად ტენიანი ზობისა და ზუგდიდის რაიონებში.

### სოია სასილოსე

1. ჯიში იმერული ადგილობრივი — გავრცელდეს დარაიონება I ზონაში — სანაპირო სუბტროპიკული ტენიანი და ზედმეტად ტენიანი.

2. ჯიში მოწინავე 7 — გავრცელდეს დარაიონება მთელ IX ზონაში — ქართლის სარწყავი.

### საკვები სტაფილო

ჯიში გერანდა — 1129 — მოიხსნას დარაიონებიდან VI ზონაში — მესხეთის მთაგორიანი, IX ზონაში — ქართლის სარწყავი, X ზონაში — ქვემო ქართლის სარწყავი, XII ზონაში — თრიალეთის მთიან-ტყიანი და XX ზონაში — სამხრეთ ოსეთის მთაგორიანი.

სამდელიე-სახაძოვრო ბალახები (მთავორიანი სათიბებისა და საძოვრებისათვის)

კოინდარი მაღალი

ჯიში ქართული — დარიონდეს რესპუბლიკაში.

### ატამი

1. ჯიში ბერების — გავრცელდეს დარიონება ლაგოდებისა და ყვარლის რაიონებზე.

2. ჯიში ნობათი — გავრცელდეს დარიონება ბათუმის, ქობულეთისა და ლანჩხუთის რაიონებზე.

3. ჯიშები: ხირსული, ტურისტი 422, თავრიზული და საბჭოური — დარიონდეს ახმეტისა და თელავის რაიონებში.

### მანდარინი

ჯიში სოქის 23 — დარიონდეს ბათუმის, გავრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ქობულეთის, სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონებში.

### ფორთოხალი

ჯიში ვაშინგტონ ნაველი — გავრცელდეს დარიონება ბათუმის რაიონის ქოროხის მიღმა ნაწილზე.

### ლევო

ჯიში აფხაზური იისფერი — გავრცელდეს დარიონება ყვარლისა და ლაგოდების რაიონებზე.

### თუთის აბრეშუმის ქიის პარკი

1. ჰიბრიდები: ქართლი X თბილნიიშ 3 და თბილნიიშ 3 X ქართლი — გავრცელდეს დარიონება გაზაფხულის სამრეწველო გამოკვებისათვის — ახმეტის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდების, სიღნაღისა და თელავის რაიონებზე.

2. ჰიბრიდები: კახური X იმერული და იმერული X კახური — გავრცელდეს დარიონება გაზაფხულის სამრეწველო გამოკვებისათვის გალის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, მახარაძის, ხობის, ჩოხატაურის, წალენჯიხისა და ცხაკაიას რაიონებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი მ. მებრელიძევილი,

## 29 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ გაუქმდეს ამ კომიტეტის შემადგენლობაში კინოფიკაციის მთავარი სამმართველო, როგორც პარალელურად მოქმედი და ზედმეტი საშუალოდ რგოლი, და დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ახალი სტრუქტურა და შტატები, დანართის თანახმად.

2. 1968 წლის 1 მაისიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის შენახვა მოხდეს ქვესაუწყებო ორგანიზაციათა ანარიცხების ხარჯზე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგემო კომიტეტს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შეიტანონ სათანადო ცვლილებანი საქართველოს სსრ 1968 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმასა და ბიუჯეტში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **მ. მებრელიშვილი**.

ქ. თბილისი, 1968 წლის 4 აპრილი, № 158.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1968 წლის 4 აპრილის № 158  
დადგენილების დანართი

**საშტატო განრიგი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის  
სახელმწიფო კომიტეტისა

(სამეურნეო ანგარიშზე)

|   | საშტატო კრ-<br>ფულეების<br>რისონდებისა |
|---|--|
| 1. კომიტეტის თავმჯდომარე . . . . .  | 1                                      |
| 2. თავმჯდომარის პირველი მოადგილე . . . . .  | 1                                      |
| 3. თავმჯდომარის მოადგილე . . . . .  | 1                                      |
| 4. თავმჯდომარის თანხმეძვე . . . . .   | 1                                      |
| 5. უფროსი ინსპექტორი სახანძრო დაცვის დარგში . . . . .   | 1                                      |
| 6. მდივანი-სტენოგრაფისტი . . . . .  | 1                                      |
| 7. იურისკონსულტი . . . . .  | 0,5                                    |
| <b>ს უ ლ</b> . . . . .  | <b>6,5</b>                             |
| <b>სასცენარო განყოფილება</b>  |  |
| 1. მთავარი რედაქტორი . . . . .  | 1                                      |
| 2. უფროსი რედაქტორი კინორეპერტუარის კონტროლის დარგში . . . . .                                | 1                                      |
| 3. უფროსი რედაქტორი მხატვრული ფილმების დარგში . . . . .                                       | 1                                      |
| 4. უფროსი რედაქტორი ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების დარგში . . . . . | 1                                      |
| <b>ს უ ლ</b> . . . . .  | <b>4</b>                               |
| <b>ფილმების წარმოების განყოფილება</b>   |  |
| 1. განყოფილების უფროსი . . . . .  | 1                                      |
| 2. უფროსი ინსპექტორი . . . . .  | 1                                      |
| 3. ინჟინერ-ეკონომისტი . . . . .   | 1                                      |
| <b>ს უ ლ</b> . . . . .  | <b>3</b>                               |
| <b>კინოქსელის ექსპლუატაციის სამმართველო</b>   |  |
| 1. სამმართველოს უფროსი . . . . .  | 1                                      |
| 2. უფროსის მოადგილე . . . . .   | 1                                      |
| 3. უფროსი ინსპექტორი . . . . .  | 1                                      |
| 4. უფროსი ინსპექტორი სარეპერტუარო დაგეგმვის დარგში . . . . .                                  | 1                                      |
| 5. ინსპექტორი . . . . .   | 1                                      |
| <b>ს უ ლ</b> . . . . .  | <b>5</b>                               |

საშტატო-ერ-  
ოფულეების  
რაოდენობა

**კინოტექნიკისა და კაპიტალური მშენებლობის სამმართველო**

1. სამმართველოს უფროსი
2. უფროსის მოადგილე—მთავარი ინჟინერი კაპიტალური მშენებლობის დარგში
3. უფროსი ინჟინერი კინოტექნიკის მოწყობილობის დარგში
4. უფროსი ინჟინერი კინოტექნიკის მოწყობილობის დარგში
5. უფროსი ინჟინერი მშენებლობის დარგში
6. ინჟინერ-მეთოდისტი
7. ინჟინერი მშენებლობის დარგში
8. ტექნიკოსი

ს უ ლ

**კადრების განყოფილება**

1. განყოფილების უფროსი
2. უფროსი ინსპექტორი
3. ინსპექტორი

ს უ ლ

**ხაგეგმო-საფინანსო სამმართველო**

1. სამმართველოს უფროსი
2. უფროსის მოადგილე
3. უფროსი ეკონომისტი
4. ეკონომისტი

ს უ ლ

**ცენტრალური ბუღალტერია**

1. მთავარი ბუღალტერი
2. მთავარი ბუღალტრის მოადგილე
3. უფროსი ბუღალტერი
4. ბუღალტერი
5. მოლარე-მთანგარიშე

ს უ ლ

**ხარვეზოთა განყოფილება**

1. განყოფილების უფროსი — მთავარი რევიზორი
2. უფროსი რევიზორი
3. რევიზორი

ს უ ლ

№ 2  
 საქართველოს  
 საგარეო ურთიერთ-  
 საკავშირეო  
 მინისტროს  
 საკანცელარიო

ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება

|                        |             |
|------------------------|-------------|
| 1. განყოფილების უფროსი | 1           |
| 2. კანცელარიის გამგე   | 1           |
| 3. საქმის მწარმოებელი  | 1           |
| 4. უფროსი არქივარიუსი  | 1           |
| 5. უფროსი მემანქანე    | 1           |
| 6. მემანქანე           | 3           |
| 7. მეროტატორე          | 1           |
| 8. დამლაგებელი         | 3           |
| 9. შიკრიკი             | 1           |
| <b>ს უ ლ</b>           |             |
|                        | <b>13</b>   |
| <b>მ თ ლ ა დ</b>       |             |
|                        | <b>60.5</b> |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი მ. მებრელიძევილი.

**30** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 20 ნოემბრის № 694 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წესდების მე-2 პუნქტში შესწორების შედეგად შეტანილ შეცვლებას

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 20 ნოემბრის № 694 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წესდების მე-2 პუნქტში შესწორება და ეს პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს ამ წესდების შესაბამისად, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მეთვალყურეობითა და კონტროლით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **მ. მებრეალიშვილი**.

ქ. თბილისი, 1968 წლის 12 აპრილი, № 165.

**31** თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მებროპოლიტენის სამმართველოს წესდების დამტკიცების შედეგად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მებროპოლიტენის სამმართველოს წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **მ. მებრეალიშვილი**.

ქ. თბილისი, 1968 წლის 18 აპრილი, № 169.

## დამტკიცებულია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

1968 წლის 18 აპრილის № 169

დადგენილებით

## წ ე ს დ ე ბ ა

თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის  
მეტროპოლიტენის სამმართველოს

## I. ზოგადი დებულებანი

1. თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის სამმართველო შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 8 თებერვლის № 72 დადგენილების საფუძველზე, იმ მიზნით, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს მეტროპოლიტენის საწარმო-სამეურნეო საქმიანობას სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად ქ. თბილისის მოსახლეობის მოხერხებული და სწრაფი მგზავრობის უზრუნველყოფისათვის.

2. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო იმყოფება თბილისის მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამგებლობაში და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების ძალებით ახორციელებს საწარმო-სამეურნეო საქმიანობას სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

3. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო წარმოადგენს იურიდიულ პირს, იმყოფება დამოუკიდებელ ბალანსზე, მას აქვს ანგარიშები ბანკის შესაბამის კანტორებსა და განყოფილებებში, ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და თავისი დასახელება, და მოქმედებს სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით.

4. თბილისის მეტროპოლიტენს ერთმმართველობის საფუძველზე მართავს მეტროპოლიტენის უფროსი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი, ხოლო შემდგომ ამტკიცებს თბილისის მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭოს სესია.

მეტროპოლიტენის უფროსის მოადგილეებს, მთავარ ინჟინერს, საფინანსო განყოფილების უფროსს — მთავარ ბუღალტერს და მოძრაობის უსაფრთხოების მთავარ რევიზორს ნიშნავს და ათავისუფლებს მეტროპოლიტენის უფროსის წარდგენით მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

5. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს საქმიანობა ემყარება ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის შეხამებას საწარმოთა კოლექტივების სამეურნეო დამოუკიდებლობასა და ინიციატივასთან.

მეტროპოლიტენის საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მუშაკთა მთელი კოლექტივი ფართო მონაწილეობას იღებენ ისეთ ღონისძიებათა განხილვასა და განხორციელებაში, როგორცაა სახელმწიფო გეგმის შესრულების უზრუნველ-



ყოფა, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის განვითარება და სრულყოფა, მეტროპოლიტენის მუშაკთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

6. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს შემადგენლობაში შედიან ქვემოჩამოთვლილი დამოუკიდებელი საწარმოები, რომლებიც მოქმედებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით დამტკიცებული სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების შესაბამისად და რომლებიც ამ დებულებას იყენებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 8 თებერვლის № 66 დადგენილებით დაწესებულ თავისებურებათა გათვალისწინებით:

- ა) მეტროპოლიტენის სამმართველო;
- ბ) მოძრაობის სამსახური;
- გ) მოძრავი შემადგენლობის სამსახური;
- დ) ლიანდაგისა და სანტექნიკის სამსახური;
- ე) გვირაბთა, შენობათა და ნაგებობათა სამსახური;
- ვ) ესკალატორთა, ელექტროქვესადგურებისა და ქსელების სამსახური;
- ზ) სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის სამსახური;
- თ) ელექტროდებო;
- ი) გაერთიანებული სახელოსნოები.

7. ამ წესდების მე-6 პუნქტში ჩამოთვლილ დამოუკიდებელ საწარმოთა გარდა მეტროპოლიტენის შემადგენლობაში შედის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამსახური და დირექცია მშენებარე მეტროპოლიტენისა, რომლებიც არ არიან დამოუკიდებელი საწარმოები, და მათ მიმართ მეტროპოლიტენის სამმართველო ახორციელებს საწარმოს უფლებებსა და მოვალეობებს სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით.

8. მეტროპოლიტენზე მიმაგრებული ძირითადი და საბრუნავი სახსრები ქმნიან მის საწესდებო ფონდს, რომლის ოდენობა ასახულია თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს ბალანსში.

9. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი.

## II. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა

10. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო და მის შემადგენლობაში შემავალი დამოუკიდებელი საწარმოები ახორციელებენ საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას გვეგმის შესაბამისად და სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის უზრუნველყოფენ ყველაზე დიდი შედეგების მიღწევას შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების უმცირესი დანახარჯებით, მაქსიმალურად იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, შიდა-სამეურნეო რეზერვებს, მათს სარგებლობაში არსებულ მიწებსა და სხვა ბუნებრივ რესურსებს, მკაცრად იცავენ მომჭირნეობის რეჟიმს, ნერგავენ მეცნი-



ერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს და მოწინავე გამოცდილებას, აგრეთვე ნედლეულის, მასალის, სათბობის, ელექტროენერჯის ხარჯვის პროგრესულ ნორმებს. ამცირებენ მგზავრთა გადაყენის თვითღირებულებას და ზრდიან წარმოების რენტაბელობას.

საწარმოთა შემადგენლობაში შემავალი დისტანციების, საამქროების, უბნების, განყოფილებისა და მეტროპოლიტენის სამსახურთა დანარჩენი შიდა-რგოლების საწარმო-სამეურნეო საქმიანობა ხორციელდება შიდასამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

11. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო:

ა) მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა მეშვეობით უზრუნველყოფს მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობას და მგზავრთა მომსახურების მაღალ კულტურას მეტროპოლიტენის მატარებლებსა და სადგურებში, განუწყვეტლივ ამძლავებს მეტროპოლიტენის მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკურ ღონეს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის საფუძველზე;

ბ) მისდამი დაქვემდებარებულ მშენებარე მეტროპოლიტენის დირექციის მეშვეობით აწარმოებს კაპიტალურ დაბანდებებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებში საიჯარო ხელშეკრულებით, ახორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობას და შესრულებულ სამუშაოთა და დამთავრებული ობიექტების მიღებას მოიჯარეებისაგან, იღებს ფონდებს და მოწყობილობით ამარაგებს მეტროპოლიტენის მშენებლობას, აწარმოებს მოიჯარეებთან ანგარიშსწორებას;

გ) უზრუნველყოფს ყველა სალიანდაგო, ელექტრომექანიკურ, ელექტროტექნიკურ, სანტექნიკურ მოწყობილობათა, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობათა, მოძრავი შემადგენლობის, სასადგურო, ტექნიკური, სასაწყობო შენობა-სადგომთა და სხვა ნაგებობათა წესიერად მოვლა-შენახვას და მობილიზაციურ მზადყოფნას;

დ) ეწევა მუშაობას გამოგონებისა და რაციონალიზაციის დარგში, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დროულად განხილვას და დანერგვას, დადგენილი საზღაურის მიცემას გამოგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის, საბჭოთა და საზღვარგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ გამოყენებას, ახალი ტექნიკის შემუშავებისა და არსებულის სრულყოფის დროს საპატენტო მასალების ფართოდ გამოყენებას, აგრეთვე საბჭოურ გამოგონებათა პრიორიტეტის დაცვას საავტორო მოწმობათა გასაცემად განაცხადების წარდგენის გზით და დადგენილი წესით, საჭირო შემთხვევებში საზღვარგარეთ პატენტების მიღებას, მხარს უჭერს და წახალისებს წარმოების ნოვატორებს;

ე) ახორციელებს რკინიგზის, წყალთა, საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკურ საშუალებათა რაციონალურად გამოყენებას, სისტემატურად სრულყოფს დატვირთვა-გადმოტვირთვის და სატრანსპორტო სამუშაოთა ორგანიზაციას, ეწევა ამ სამუშაოების მექანიზაციის და ატარებს ღონისძიებებს დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს სატრანსპორტო საშუალებათა მოცდენის შემცირებისათვის;

ვ) უზრუნველყოფს გადაზიდვის პროცესს მატერიალურ-ტექნიკური სურსებით. ამ მიზნით სამმართველო, დადგენილი ნორმატივების მიხედვით, დროულად წარადგენს დასაბუთებულ განაცხადებს გეგმიანი წესით გასანაწილებელ მატერიალურ რესურსებზე, რომლებიც საჭიროა ძირითადი პროგრამის შესასრულებლად, საცდელ სამუშაოთა განსახორციელებლად, ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმის შესასრულებლად და სარემონტო-საექსპლუატაციო საჭიროებისათვის; ეწევა ფონდებით გამოყოფილი მატერიალური რესურსების რეალიზაციას, აგრეთვე დამოუკიდებლად იძენს საწარმოებისათვის საჭირო სხვა მატერიალურ რესურსებს.

თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უნდა გააჩნდეს ნედლეულის, მასალების, სათბობისა და სხვა რესურსების მარაგი იმ მოცულობით, რომელიც შეესაბამება დადგენილ ნორმებს და უზრუნველყოფს შეუფერხებელ და რიტმულ მუშაობას, ამასთან არ უნდა დაუშვას ზეგეგმითი მარაგის შექმნა;

ზ) განაგებს თავის ფინანსურ რესურსებს, უზრუნველყოფს მაქსიმალურ ეკონომიას სახსრების ხარჯვაში და მათს მიზნობრივ გამოყენებას, აგრეთვე დროულ ანგარიშსწორებას სახელმწიფო ბიუჯეტთან, ბანკის დაწესებულებებთან, მიმწოდებლებთან, მოიჯარებთან და სხვა ორგანიზაციებთან.

სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ძირითად საექსპლუატაციო საქმიანობის მიხედვით ახორციელებს თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო;

თ) აწარმოებს საბუღალტრო, ოპერატიულ და სტატისტიკურ აღრიცხვას, ნერგავს აღრიცხვისა და გამოთვლითი სამუშაოების მოწინავე მეთოდებსა და ფორმებს, ადგენს ანგარიშგებას დაწესებული ფორმით და წარუდგენს მას დადგენილ ვადებში სათანადო ორგანოებს;

ი) გამუდმებით სრულყოფს თავის სტრუქტურას, რათა მიიღწიოს წარმოების მმართველობის ხარჯების მაქსიმალურ შემცირებას, ქმნის პირობებს მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის, ხოლო დაქვემდებარებულ საწარმოთა მეშვეობით იბრძვის შრომის ნაყოფიერების მუდმივი ზრდისათვის, შრომის დისციპლინის, შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის წესებისა და ნორმების, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესების დაცვისათვის, ატარებს გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს;

კ) ახორციელებს ღონისძიებებს დაქვემდებარებულ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესებისათვის, რათა მიიღწიოს მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებას როგორც საკუთარი შრომის შედეგებისათვის, ისე მეტროპოლიტენის მუშაობის საერთო შედეგებისათვის; უზრუნველყოფს სწორ თანაფარდობას შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასს შორის, ხელფასის ფონდის ეკონომიურ და რაციონალურ ხარჯვას და მუშა-მოსამსახურეებთან თავის დროზე ანგარიშსწორებას;

ლ) ხელმძღვანელობს მუშათა ახალი კადრების მომზადებას, ასწავლის მათ ახალ პროფესიებს და სისტემატურად ამაღლებს მუშაკთა საწარმოო კვალიფიკაციას სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად;

მ) სისტემატურად აღმოჩენებს მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს, აწყობს საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, საავადმყოფოების და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას და ხელს უწყობს თავის მუშაკებს კოოპერატიული საბინაო მშენებლობის განხორციელებაში;

ნ) ახორციელებს ყველა საჭირო ღონისძიებას სამრეწველო და სამეურნეო ნაყარისაგან, ჩამდინარე წყლებისა და წარმოების ნარჩენებისაგან ჰაერის, ნიადაგისა და წყალსატევების დასაცავად, ავრთვე ხმაურის, რადიოდაბრკოლებათა და მოხეტიალე დენის წინააღმდეგ საბრძოლველად.

12. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს წახალისება ხდება მასზე დაკისრებული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, მოქმედი კანონმდებლობისა და სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესაბამისად.

### III. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფლებანი

13. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია მის საწარმო-სამეურნეო საქმიანობასთან, ახორციელებს თბილისის მეტროპოლიტენის უფროსი და მოვალეობათა დადგენილ განაწილებათა მიხედვით — თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს სხვა თანამდებობის პირნი სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების შესაბამისად და შემდეგ თავისებურებათა გათვალისწინებით:

ა) თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო აწარმოებს:

— გადანაწილებას მოძრავი შემადგენლობის, ესკალატორების, ლიანდაგის ზედა ნაგებობის, მიწის ვაკისის, ნაგებობების და მოწყობილობის ღირებულებიდან იმ საამორტიზაციო ანარიცხებისა, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური რემონტისათვის;

— ანგარიშსწორებას სახელმწიფო ბიუჯეტთან ძირითადი საქმიანობის მიხედვით;

— მორალურად მოძველებულ, გაცვეთილ და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგის მოძრავი შემადგენლობის, მოწყობილობის და სატრანსპორტო საშუალებათა ბალანსიდან ჩამოწერას;

მაღალკვალიფიციური ოსტატებისა და სხვა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ხელფასის დანამატებს საწარმოთა წარდგენით ხელფასის დაგვემილი ფონდის ფარგლებში;

ბ) შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის და საწარმოო სანიტარიის უზრუნველყოფის სამუშაოების სატიტულო სიებს ამტკიცებს თბილისის მეტროპოლიტენის უფროსი პროფკავშირის გაერთიანებულ ადგილკომთან შეთანხმებით.

14. თბილისის მეტროპოლიტენის უფროსს უფლება აქვს მივლინების ნება დართოს სამმართველოს და დაქვემდებარებულ საწარმოთა მუშაკებს სსრ კავშირის ფარგლებში.

**IV. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს რეორგანიზაცია  
და ლიკვიდაცია**

15. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილებათა საფუძველზე, იმ წესით, რაც დადგენილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით დამტკიცებული სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულებით.

**V. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს წესდების შეცვლა**

16. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს წესდების შეცვლა ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

**32 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 ივლისის  
№ 410 დადგენილების დამატების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 ივლისის № 410 დადგენილების დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაეკისროს საქართველოს სსრ სახმუნეს იმ უთანხმოებათა გადაწყვეტა, რომლებიც წამოიჭრება პროექტების შეთანხმების დროს საპროექტო, საიჯარო სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებს შორის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **მ. მებრელიშვილი**.

ქ. თბილისი, 1968 წლის 18 აპრილი, № 171.



### 33 სპარტველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო და- წინაგულეობასა და ორგანიზაციებში „სოციალისტური სახელ- მწიფო საწარმოს დაგულები“ გამოყენების თავისებურებათა შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 28 სექტემბრის № 870 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების კომუნალური მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემის რესპუბლიკურ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც ამ დადგენილების დანართში არიან ჩამოთვლილი, „სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დეპუტატების“ გამოყენება წარმოებს შემდეგ თავისებურებათა გათვალისწინებით:

ა) კაპიტალური მშენებლობა და რეკონსტრუქცია იმ ძირითადი ფონდებისა, რომლებიც ხორციელდება ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, წარმოებს შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროების მიერ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მიერ, ხოლო ყველა დანარჩენ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ.

ბ) მორალურად მოძველებული, გაცვეთილი და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობის ჩამოწერა, რომელთა ერთეულის ღირებულება აღემატება ერთი ათას მანეთს, წარმოებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების კომუნალური მეურნეობის განყოფილებათა, ყველა დანარჩენი ქალაქის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ნებართვით, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ნებართვით;

გ) საწარმოთა ბალანსიდან მორალურად მოძველებული საქალაქო ტრანსპორტის, გაცვეთილი და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი მოძრავი შემადგენლობის (ტრამვაის ვაგონები, ტროლეიბუსის მანქანები) ჩამოწერა ქალაქ თბილისში წარმოებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ, ხოლო ყველა დანარჩენ ქალაქში — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ;

დ) კომუნალური მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ წინა კვარტალებსა და თვეებში ხელფასის ფონდიდან მიღებული ეკონომიის გამოყენება იმავე წლის მომდევნო კვარტალებსა და თვეებში ხელფასისა და პრემიების გასაცემად. საწარმოებს, რომელთაც ხელფასის თანხები ეძლევათ მუშაობის ძირითადი მაჩვენებლების დავალების შესრულების მიხედვით, შეუძლიათ



გამოიყენონ ზელფასის ფონდის ეკონომია ძირითადი გეგმის შესრულების პროცენტის შესაბამისად;

ე) სასტუმროების ზეგეგმითი მოგება შეიძლება დარჩეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებით ამ სასტუმროების ღირებულებების განკარგულებაში, ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად, იმ წესით, რაც დადგენილია სსრ კავშირის მთავრობის მიერ.

2. მიენიჭოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს იმის უფლება, რომ, საქირო შემთხვევაში, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს თანხმობით, შეიტანოს დამატებანი ამ დადგენილებით დამტკიცებულ იმ კომუნალური მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ნუსხაში, რომლებზედაც ვრცელდება „სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების“ მოქმედება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წლის 23 აპრილი, № 172.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1968 წლის 23 აპრილის № 172  
დადგენილების დანართი

## ნ უ ს ხ ბ

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების კომუნალური მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, აგრეთვე საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემის რესპუბლიკური საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებზედაც, თავისებურებათა გათვალისწინებით, ვრცელდება „სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების“ მოქმედება

### 1. წყალსადენ-კანალიზაციის მეურნეობის ხაზით:

საქალაქო და რაიონული საწყალსადენო, საკანალიზაციო და წყალსადენ-კანალიზაციის მეურნეობები, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან და თავიანთი მდგომარეობის თანახმად წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

### 2. საქალაქო კეთილმოწყობისა და მწვანე მეურნეობის საწარმოების ხაზით:

კეთილმოწყობის საქალაქო კანტორები, სანიტარული დასუფთავების საქალაქო და რაიონული სპეციალური ავტომეურნეობები, მწვანე მეურნეობის ტრესტები და კანტორები, რომლებაც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან და თავიანთი მდგომარეობით წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

### 3. კომუნალური მომსახურების ხაზით:

სასტუმროები, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან და თავიანთი მდგომარეობით წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

### 4. ენერგეტიკული მეურნეობის ხაზით:

თბილისის ელექტრონულ ნაგებობათა სამმართველო — „თელასი“;

ქ. თბილისის ენერგოგასალბა;

ქ. თბილისის სათბობი მეურნეობის სამმართველო;

### 5. კომუნალური საწარმოების კომბინატები:

### 6. საქალაქო ელექტროტრანსპორტის საწარმოები.

ქ. თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველო;

ქ. ქუთაისის ტროლეიბუსების სამმართველო;

ქ. სოხუმის ტროლეიბუსების სამმართველო;

ქ. ჰიათურის საქალაქო ელექტროტრანსპორტის სამმართველო;

### 7. რესპუბლიკური დაწესებულებები და ორგანიზაციები:

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მერქნის დაცვის რესპუბლიკური კანტორა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი**.

## 34 შიგარე სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო გადასახლება- დასახლების 1968 წლის გეგმის შესახებ

დაწესდეს, რომ გადმოსახლებულთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობას აწარმოებენ სამეურნეო წესით ის კოლმეურნეოები და საბჭოთა მეურნეოები, რომლებიც ამ გადმოსახლებულებს ღებულობენ.

3. დაწესდეს, რომ მეურნეებს, რომლებიც გადასახლდებიან სარწყავი მიწების რაიონებში (ვარდაბნის, წულუკიძის, ზუგდიდის, ხაშურის, წყალტუბოს, წითელწყაროს და აჭარის ასსრ რაიონებში), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 13 მარტის № 259 დადგენილების შესაბამისად, მიეცემათ ერთდროული ფულადი დახმარება: ოჯახის უფროსს 50 მანეთი და ოჯახის თვითეულ წევრს — 15 მანეთი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 15 სექტემბრის № 772 დადგენილების შესაბამისად, მიეცეთ სახელმწიფო სესხი გადმოსახლებულებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის საეზოე ნაგებობებით 3500 მანეთამდე ერთ მეურნეზე (სსრ კავშირის სახმშენის მიერ დამტკიცებული ტიპური პროექტების მიხედვით), ამასთან ამ თანხის 35 პროცენტი გაიცეს ბიუჯეტის ანგარიშში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის № 104 დადგენილების შესაბამისად მიეცეს სესხი თითოეულ ოჯახს ძროხის შესაძენად 300 მანეთამდე, ან დეკულისა — 150 მანეთამდე.



განემართოს გადმოსახლებულ მეურნეებს, რომ სესხი, რომელიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ეძლევათ გადმოსახლებულთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის საეზოე ნაგებობიანად, უნდა დაიფაროს 10 წლის განმავლობაში, დაწყებული სესხის მიღების მესამე წლიდან, ხოლო ძროხების შესაძენად მიღებული სესხისა — დაწყებული სესხის მიღების მეორე წლიდან, დეკულებისა — მესამე წლიდან 5 წლის განმავლობაში.

4. განთავისუფლებულ იქნან ჩასახლების ადგილებში კოლმეურნეები, რომლებიც 1968 წელს გადასახლებიან გარდაბნის, წულუკიძის, ზუგდიდის, ხაშურის, წყალტუბოს, წითელწყაროს და აჭარის ასსრ რაიონებში, სასოფლო-სამეურნეო გადასახადებისაგან 5 წლის ვადით, ხოლო კოლმეურნეობები, რომლებმაც თავიანთ შემადგენლობაში გადასახლებულნი მიიღეს, — საშემოსავლო გადასახადისაგან, ჩასახლებულ ოჯახთა რაოდენობის მიხედვით.

11. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ უზრუნველყოს გადასახლებულ კოლმეურნეთა ოჯახების გადაყვანა და მათი ქონების გადატანა გამოსვლის ადგილიდან ჩასახლების ადგილებში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტისა და გამოსახლების რაიონების რაიადმასკომების განაცხადებით, საავტომობილო ტვირთზიდვის მათთვის დაწესებული გეგმის ფარგლებში, ამ მიზნისათვის გათვალისწინებული თანხებიდან.

12. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტს აუნაზღაუროს ოჯახებს, რომლებიც საქართველოს სსრ უტყეო რაიონებში სახლებიან, ხე-ტყის მასალებისა და სახლის ძეგურების გადაზიდვის ღირებულება (ოჯახზე ერთი ვაგონის ანგარიშით) იმ ასიგნებათა ხარჯზე, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ ბიუჯეტით გადასახლება-დასახლების ღონისძიებებისათვის.

13. ამ დადგენილების შესრულებისადმი კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯაგანიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **მ. მივრელიშვილი.**

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА  
ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 1968 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული  
იურიდიული კომისია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VI-1968 წ. ქალაქის ზომა 70×108,  
ქალაქი 10.000, ნაბეჭდი თაბახი 2,5 სააღრიცხვო თაბახი 2,6.

წლიური ხელმოწერის ფასი 4 მან.

თარგმნილია რუსულიდან

0 33/30



0590360-76188